საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 14060/01
29/12/2021

14060-01-2-202112292231

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“-ს

მის: ქ. გორი, შიდისის გზ. N2

ელ. ფოსტა: gza.gori@yahoo.com

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი N21588 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ასფალტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას და გაცნობებთ შემდეგს:

- სკრინინგის განცხადების წარმოდგენის საფუძვლად მითითებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-11 პუნქტი, რაც საჭიროებს კორექტირებას;
- სკრინინგის განცხადებაში საწარმოს GPS კოორდინატები და საკადასტრო კოდი მითითებულია შეცდომით და ვერ ხერხდება ტერიტორიის იდენტიფიცირება, შესაბამისად, აღნიშნული საჭიროებს დაზუსტებას;
- წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მოცემულია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია. კერძოდ, „დაგეგმილი ცვლილების დასაბუთების” თავში მითითებულია, რომ საწარმოო ჩამდინარე წყლები, მექანიკური გაწმენდის შემდეგ, მიმდებარედ არსებული სარწყავი არხის საშუალებით, ჩაედინებოდა მდ. ლიახვში. ბოლო წლებში, საწარმოს მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელებული რიგი ინფრასტრუქტურული ცვლილებების შედეგად (აშენდა ახალი გზა და ნაპირსამაგრი), არსებული სარწყავი არხი გაუქმდა/გადაიკეტა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩამდინარე წყლების ჩაშვება აღარ ხორციელდება მდ. ლიახვში და ჩაიჟონება მიწაში, საწარმოს და მის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე. ამასთან, „საწარმოო ჩამდინარე წყლების” თავში აღნიშნულია, რომ „გაწმენდილი წყლის ჩაშვება ხორციელდება მიმდებარედ, საწარმოს გარეთ არსებულ არხში, რომელიც ადრე გამოიყენებოდა ჩამდინარე წყლების მდ. ლიახვამდე გასატარებლად”. წარმოდგენილი ინფორმაციით ვერ დგინდება და დაზუსტებას საჭიროებს საწარმოო ჩამდინარე წყლების ჩაშვების საკითხი;
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, „სანიაღვრე გაწმენდილი წყალი, მცირე არხის საშუალებით, გადავა საწარმოს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მცირე მშრალ ხევში.” სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია როგორც არხის, ისე მშრალი ხევის შესახებ, GPS კოორდინატების მითითებით;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს საწარმოს გენ-გეგმა მაღალი გარჩევადობით და შესაბამისი ექსპლიკაციით.

- სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია როგორც არსებული საქმიანობის, ისე საწარმოში განხორციელებული ცვლილებების შესახებ და აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე შესაძლო ზემოქმედების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, განახლებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე